თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7548857

ნომერი: AR11098539

თარიღი : 03.07.2025

გაცემის თარიღი : 10.07.2025

გაცნობის თარიღი : 10.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N16;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გვანცა მეტრეველი პ/ნ 01019076833
- თბილისი დავით გურამიშვილის გამზ. N 78 ბლოკი ა ბ. 63

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 3 ივლისს №AR11098539 განცხადებით მომართა გვანცა მეტრეველმა და მოითხოვა სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის

№7539436 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებით, დაეთანხმა, №01.10.15.022.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მდებარე №04/02 შენობა-ნაგებობაზე პირველი კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების (სამღებრო სამუშაოები) შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ განმცხადებელი უთითებს, რომ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში 04/2 შენობის ფასადის ნაცვლად არასწორად არის დაფიქსირებული 04/1 შენობის ფასადი.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2025 წლის 25 ივნისის №AR11097422 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, №01.10.15.022.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე №04/2 შენობა-ნაგებობაზე პირველი კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების (სამღებრო სამუშაოები) შესაძლებლობაზე თანხმობის მიღება. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის „სიტუაციური გეგმა“. სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სარეკონსტრუქციო ობიექტი არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სარეკონსტრუქციო ობიექტად „04/1 შენობის ფასადის“ ნაცვლად დაფიქსირდეს „04/02 შენობის ფასადი“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 2 ივლისის №7539436 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.